დანართი №2

მაგისტრატურის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩარიცხულ უცხო ქვეყნის მოქალაქეთა სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით დაფინანსების წესი და პირობები

მუხლი 1. უცხო ქვეყნის მოქალაქეთა სწავლის დაფინანსების ზოგადი პირობები

1. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მაგისტრატურის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე 2025 წლის საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩარიცხული უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის გამოიყოს 11 250 (თერთმეტი ათას ორას ორმოცდაათი) ლარი.
2. ამ წესის მიზნებისთვის სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის ოდენობა განისაზღვროს 2 250 (ორი ათას ორას ორმოცდაათი) ლარით.
3. ამ წესის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტი გაიცემა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული სწავლის საფასურის შესაბამისად, მაგრამ არაუმეტეს 2 250 ლარისა.
4. ამ წესის ფარგლებში სახელმწიფო დაფინანსების მოპოვების უფლება აქვს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე 2025 წლის საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგად ჩარიცხულ უცხო ქვეყნის მოქალაქეს.
5. ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირმა ამ წესის ფარგლებში დაფინანსება შეიძლება მოიპოვოს, თუ იგი როგორც უცხო ქვეყნის მოქალაქე, არ არის შეყვანილი მაგისტრანტობის კანდიდატთა აბსოლუტური რანჟირების დოკუმენტში.

მუხლი 2. დაფინანსების პრინციპი

1. ამ წესის პირველი მუხლით გათვალისწინებული მაგისტრანტები სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტს მოიპოვებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დამტკიცებული, 2025 წლის 17 დეკემბრამდე მოქმედი „სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის განაწილების წესით“ გათვალისწინებული საერთო სამაგისტრო გამოცდის შედეგად მიღებული აბსოლუტური ქულის საფუძველზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ოთხი ნაწილიდან რომელიმე სამ ნაწილში მაინც გადალახავენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დამტკიცებული „სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულებით“ დადგენილ მინიმალური კომპეტენციის ზღვრებს.
2. იმ შემთხვევაში, თუ ამ წესით გათვალისწინებულ მაგისტრანტთა სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით დასაფინანსებლად საჭირო თანხის ოდენობა აღემატება ამ წესის პირველი მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული თანხის ოდენობას, დაფინანსება გაიცემა მაგისტრანტობის კანდიდატთა აბსოლუტური ქულით რანჟირების საფუძველზე უმაღლესიდან უმდაბლესისკენ.
3. თუ ამ წესის პირველი მუხლით გათვალისწინებულმა მაგისტრანტებმა თანაბარი აბსოლუტური ქულა მოიპოვეს და ამავე მუხლის პირველი პუნქტით

გათვალისწინებული თანხა არ არის საკმარისი ყველა მათგანის დასაფინანსებლად, დაფინანსება არ გაიცემა.

მუხლი 3. განცხადების წარდგენა

1. სახელმწიფო დაფინანსების მოსაპოვებლად ამ წესის პირველი მუხლით გათვალისწინებულმა მაგისტრანტებმა ამ წესის დანართით განსაზღვრული განცხადება უნდა წარმოადგინონ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროში (შემდგომ - სამინისტრო) 2026 წლის 1 სექტემბრიდან 2026 წლის 2 ოქტომბრის ჩათვლით. განცხადება უნდა აკმაყოფილებდეს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მოთხოვნებს, კერძოდ, უნდა მოიცავდეს სუბიექტის ინფორმირების ნაწილს მონაცემთა დამუშავების შესახებ ამ წესის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის მოპოვების მიზნებისთვის. ასევე, განცხადებაში მითითებული უნდა იყოს ის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, სადაც სურს განმცხადებელს სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის მოპოვება.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ განცხადებას უნდა დაერთოს ქართულ ენაზე თარგმნილი და ნოტარიულად დამოწმებული უცხო ქვეყნის მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

მუხლი 4. გადაწყვეტილება დაფინანსების მინიჭების შესახებ

1. ამ წესის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით დაფინანსების მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით, სამინისტრო უფლებამოსილია სტუდენტების შესახებ ინფორმაცია (სახელი, გვარი, პასპორტის ნომერი) გადააგზავნოს სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში და სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.
2. ამ წესის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით დაფინანსების მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით, სამინისტრო უფლებამოსილია სტუდენტების შესახებ ინფორმაცია მიიღოს სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრიდან (საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების წელი; მოქალაქეობა; საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების აბსოლუტური ქულა) და სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან (უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები სადაც ჩაირიცხა; საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება; უმაღლესი განათლების საფეხური, სწავლის საფასური; პროგრამის აკრედიტაცია; სტუდენტის სტატუსი, ინფორმაცია სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით სარგებლობასთან დაკავშირებით).

3. ამ წესის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით დაფინანსების მინიჭების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

მუხლი 5. ინფორმაციის გავრცელება და ხელმისაწვდომობა

დაინტერესებული პირების ინფორმირების მიზნით, სამინისტრო უზრუნველყოფს ამ წესის მიწოდებას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის, ასევე ინფორმაციის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებას.

დანართი

საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის მინისტრს

განმცხადებელი ----------
(გვარი, სახელი, მოქალაქეობა)

პასპორტის ნომერი ----------

ფაქტობრივი მისამართი ----------

ტელეფონის ნომერი ----------

განცხადება

ჩავირიცხე----------

(მიუთითეთ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, სადაც გსურთ დაფინანსება)

2025 საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე.

გთხოვთ, განიხილოთ ჩემი განცხადება სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით დაფინანსების მოსაპოვებლად.

ინფორმაცია პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ

უცხო ქვეყნის მოქალაქეზე სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის მოპოვების მიზნით განცხადების განხილვისას თქვენ პერსონალურ მონაცემებს ამუშავებს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო (შემდგომ – სამინისტრო), ტელ: 023 2 200 220; ელ.ფოსტა : pr@mes.gov.ge.

რა მონაცემები მუშავდება და რა მიზნით:

სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის მოპოვებისთვის, თქვენ მიერ წარმოდგენილი განცხადების განხილვისა და კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესრულების მიზნით, სამინისტრო ამუშავებს თქვენს პერსონალურ მონაცემებს (მათ შორის: სახელი, გვარი, პასპორტის ნომერი, ტელეფონის ნომერი, ფაქტობრივი მისამართი, ან/და საჭიროებიდან გამომდინარე, გრანტის მიღებისთვის აუცილებელი დამატებითი ინფორმაცია). ასევე, საჭიროებიდან გამომდინარე, სამინისტრო უფლებამოსილია მონაცემთა შეგროვებისა და გადამოწმების მიზნით თქვენი პერსონალური მონაცემები გრანტის მიღების მიზნობრიობის გათვალისწინებით

გაუზიაროს სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრსა და სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას.

დამუშავების საფუძვლები:
სამინისტრო თქვენს მონაცემებს ამუშავებს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ და „კ“ ქვეპუნქტების საფუძველზე.

შენახვის ვადები:
„სამინისტროში მოქმედი სამინისტროს საქმეთა ნომენკლატურის“ შესაბამისად, თქვენი მონაცემები ინახება 50 წლის მანძილზე.

თქვენი უფლებები:
თქვენ გაქვთ შემდეგი უფლებები:

- ✓ მონაცემთა დამუშავების შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება;
- ✓ მონაცემთა გაცნობისა და ასლის მიღების უფლება;
- ✓ მონაცემთა გასწორების, განახლებისა და შევსების უფლება;
- ✓ მონაცემთა დამუშავების შეწყვეტის, მონაცემთა წაშლის ან განადგურების უფლება;
- ✓ მონაცემთა დაბლოკვის უფლება;
- ✓ გასაჩივრების უფლება.

მოთხოვნის წარმოდგენა შეგიძლიათ წერილობითი ფორმით.
დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ სამინისტროს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერს, ნინო ციხისელს - ტელ: 023 2 200 220 (1407); ელ. ფოსტა: ntsikhiseli@mes.gov.ge.

გთხოვთ მონიშნოთ

☐ ვადასტურებ, რომ მომეწოდა სრული ინფორმაცია ჩემი პერსონალური მონაცემების დამუშავების თაობაზე, ვიცნობ ჩემს უფლებებს და ინფორმირებული ვარ, რომ სამინისტრო დაამუშავებს ჩემს პერსონალურ მონაცემებს ზემოაღნიშნული მიზნებისათვის.

თარიღი: **ხელმოწერა:**